საქმე №1/648-20 (0----------)

თბილისის საქალაქო სასამართლო
გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

29 აპრილი 2020 წელი
თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა
და არსებითი განხილვის კოლეგია
მოსამართლე **ვალერიან ბუგიანიშვილი**
სხდომის მდივანი **რუსუდან ტატუაშვილი**

ბრალდების მხარე:

პროკურორი - **ნ----- ქ-----—----—ი**

დაცვის მხარე:

ბრალდებული - **ი-----—-—-----ე** - დაბადებული 1--- წლის 5----------ს, საქართველოს მოქალაქე, პირადი №----------, ნასამართლობის არმქონე, რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები: ქ-------—----------ლ მუხაესტატეში;

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილი და სსკ-ის 381[1]-ე მუხლის პირველი ნაწილი

სხდომის სახე - ღია

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლომ დაადგინა:

ი-----—-—-----ემ ჩაიდინა სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, მანვე ჩაიდინა შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2019 წლის 20 დეკემბერს, 23:44-23:46 საათზე, თბილისის, ვ----------–----------ში ყოფნის დროს თ----- კ------ეს ტელეფონის ნომერზე 5---------- დაურეკა ი----------ემ ტელეფონის ნომრიდან 5---------- და დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, კერძოდ უთხრა, რომ მოკლავდა მასაც და მის შვილსაც, რადგან თ----- კ-------ეს არ უყვარდა ის. აღნიშნული ქმედების შედეგად თ----- კ------ეს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2019 წლის 21 დეკემბერს, შ----------–----------–----------ის გამომძიებლის ი-------– ჯ------ის მიერ, თ----- კ------ის მოთხოვნის საფუძველზე ი----------ის მიმართ გამოცემული იქნა შემაკავებელი ორდერი №026299 ერთი თვის (30 დღე) ვადით. აღნიშნული ორდერის საფუძველზე, ი----------ეს განესაზღვრა მოძალადის სტატუსი და აეკრძალა მითითებულ ვადაში მსხვერპლთან - თ----- კ------ესთან, მის საცხოვრებელ სახლთან, სამსახურთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფებოდა, ასევე ნებისმიერი სახის კომუნიკაცია მასთან ტელეფონის, სოციალური ქსელისა და სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ ი----------ე გაფრთხილებული იქნა შემაკავებელი ორდერის შინაარსისა და მისი დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ, მან მაინც დაარღვია შემაკავებელი ორდერის მოთხოვნები და ვალდებულებები და 2020 წლის 7 იანვარს 21:35 საათზე, 21:36 საათზე, 21:41 საათზე, 22:47 საათზე ი----------ემ კუთვნილი ტელეფონის ნომრიდან 5---------- დაურეკა თ----- კ------ეს კუთვნის ტელეფონის ნომერზე 5----------, ასევე 23:49 საათზე კვლავ დაურეკა თ----- კ------ეს მობილური ტელეფონის ნომრიდან 5----------.

2. მტკიცებულებათა ერთობლიობა და სამართლებრივი შეფასება:

საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, ბრალდებულმა - **ი----------ემ** თავი სრულად სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში.

სასამართლომ მხარეთა უშუალო მონაწილეობით განიხილა საქმე და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სახეზეა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა (მოწმეების თ----- კ------ის, ი----------ის, ი-------– ჯ------ის გამოკითხვის ოქმები, შემაკავებელი ორდერი, შემაკავებელი ორდერის ოქმი, სატელეფონო ზარების დეტალური ამონაწერი, დათვალიერების ოქმი და საქმეში არსებული სხვა მასალები) ერთობლიობა **ი----------ის** დამნაშავედ ცნობისა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის.

სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებები არ გამოკვლეულა, ვინაიდან ისინი მხარეებს არ გაუხდიათ სადავოდ და საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მათ მიენიჭათ პრეიუდიციული მნიშვნელობა.

ამდენად, ერთმანეთთან შეთანხმებული, ეჭვის გამომრიცხავი მტკიცებულებების

ერთობლიობით, სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია, რომ **ი-----–---ემ** ჩაიდინა:

1. მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, დანაშაული გათვალისწინებული **საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით;**

2. შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა, დანაშაული გათვალისწინებული **საქართველოს სსკ-ის 381[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით;**

3. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები:

ი-----–---ის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა ის, რომ იგი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ხოლო პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია.

4. სასჯელის გამოყენების დასაბუთება:

საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით დადგენილი სასჯელის მიზანი: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ, სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება.

სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით დადგენილი სასჯელის მიზნის რეალიზაციას, სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდუვალობა განაპირობებს, მთავარია არა ის, რომ დასაჯო მკაცრად, არამედ ის რომ დანაშაულის შემთხვევა არ უნდა დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე და

ეს რეაგირება უნდა იყოს ბრალდებულის პიროვნების, მისი მიერ ჩადენილი ქმედების, მის მიმართ არსებული შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მაქსიმალური სიზუსტით შეფასების შესაბამისი.

სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის განსახორციელებლად, აგრეთვე, დანაშაულის მოტივისა და მიზნის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის, დამნაშავის წარსული ცხოვრების, ქმედების შემდეგ ყოფაქცევის გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ **ი-----—---—-----ეს** უნდა დაენიშნოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების სანქციით გათვალისწინებული სასჯელის სახე, რაც გახდება საფუძველი მომავალში მისი საზოგადოებაში უსაფრთხო ინტეგრაციის და იქნება დამაფიქრებელი ბრალდებულისათვის, რათა მან უკეთ გააცნობიეროს ჩადენილი ქმედების ხასიათი, საზოგადოებრივი საშიშროებისა, გამოწვეული შედეგის სიმძიმე და ბოლოს, უნდა შეამციროს **ი-----—-—-----ის** მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სამართლიანობის აღდგენას.

სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ **ი-----—-—-----ე** აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, არაა ნასამართლევი და ბრალად ედება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ **ი-----—-—-----ის** მიმართ სასჯელად ჯარიის განსაზღვრა იქნება დანაშაულის ადეკვატური და პროპორციული, ამასთან სრულად უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 209-213-ე, 215-216-ე, 255-ე, 258-260, 269-ე, 271-274-ე, 277-ე, 279-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. **ი-----—-—-----ე** ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილითა და სსკ-ის 381[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

   საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით ჯარიმა 5 200 (ხუთი ათას ორასი) ლარის ოდენობით;

   საქართველოს სსკ-ის 381[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით ჯარიმა 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით;

   საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა

სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, **ი-----–-–-----ეს** სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა 5 200 (ხუთი ათას ორასი) ლარის ოდენობით, საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე პატიმრობაში ყოფნის ვადის (2020 წლის 21 იანვრიდან 2020 წლის 24 იანვრის ჩათვლით) გათვალისწინებით ჯარიმა შეუმცირდეს 200 (ორასი) ლარით და საბოლოოდ **ი-----–-–-----ეს** სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;

2. ი-----–-–-----ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება გირაო გაუქმდეს და გირაოს თანხა 5 000 ლარი, განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში სრულად დაუბრუნდეს მის შემტან პირს;

3. განაჩენი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს სააღსრულებო ბიუროს მჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

4. განაჩენი შედის კანონიერ ძალაში გამოცხადებისთანავე და ექვემდებარება აღსრულებას;

5. განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, თბილისის საქალაქო სასამართლო მეშვეობით.

მოსამართლე: **ვალერიან ბუგიანიშვილი**